

წა ზოვანე ზამასკელი

ჟესხამა წმიდისა ზოვანე ოქროპირისა*



ამა ზმდა სადმე, უჴმდა, ჟ ზოვანე
ყოვლად ოქროო, შესხმათა
შენთა შეხებად მეცადინსა
ოქროსა ენასა წილკეთილ-
უდომითა აღმოთქუმით დინებაჲ სიტყუათა
ოქრო ნაკადულთაჲ. ჴარნა ვინათგან ამისთჴს
შენივე ჴმაჲ საჴმარ არს, რამეთუ მხოლოდ შენ
თვთმცა ძლივ მიემთხვე ღირსებით ქებასა
თავისა თჴსისასა; და ესე აწ უფროსდა. ჴამე-
თუ ქუეყანასა ზედა რაჲ იყავ პირველ სოფლით
განსლვისა და საფარველად წარმატებათა წინა-
შესავალთა შინა სიტყვსათა შემასმენელ იყავი
თავისა თჴსისა. ჴამეთუ დაეფარვიან ვითამე
ბრძენთა თავთა თჴსთა წარმართებანი, რაჲთა
არა წარრლუნას ყოფაჲ საგონებელ ყოფამან.

წინათგან უკუჴ მშობელთადაცა საყუა-
რელ არიან შვილთა ბრგუნვილებანი და იმ-
რთისადა ორნი მწულილნი უსაყუარელეს
მდიდართა ნაყოფთ შემწირველობისა არა
ძალისა, არამედ გულს-მოდგინებისა ესრეთ
სჯითა, ამას თანა და ბრძანებაჲცა იმრთის-
მოყუარისა კაცისაჲ არა განსაგდებელ არს,
რომელი-იგი ჩუენდა საკრძალავ არს და მა-
დლთა დიდთა თანამდებ-მყოფელ ჩუენდა,
შევეხები სიტყუასა არავე ურცხვნოებით, არცა
თვნიერ ძრწოლისა, არამედ შევიწრდებოდი
რაჲ შიშითა, განვერცნები სიყუარულითა და
შენდა შენთა საღმრთოთა და სამდდელითავე
სწავლათა შევსწირავ მწუჭრვალნაწილებსა.

ჴოლო არს ჩემდა ესევეთარისა პირისა
აღმღებელისა, მახლობელ თუ ვიპოო ღირ-
სებისა, არა მცირე ქებაჲ. ჴა უკუეთუ და-
ვაკლდე მისგან, რომლისა არაშემთხვევაჲ უმ-
ჯობეს, გარნა შეუძლებელვე არს შენდობა,
რომელი სამართალ არს შევრდომილისათჴს.
წრამედ მომეც მე ცეცხლმბერველი მაღლი
სულისაჲ, რამეთუ შენცა იპოვე სირ ჴრისტ-
ესსა, გამომყვანებელ ღირსისა არაღირსთა-
გან, არა ერთსა სადმე აწუ ორსა, რომელი-

ესე ერთსაცა მრავალთაგანსა ნუუკუჴ და
ექმნას სადამე, არამედ ყოველსა სახლებსა
და ერთა და ქალაქებსა.

ღამეთუ იწყე თავისაგან შენისა და თავი შენი
შეჴმზადე **წმრუსალიმად**, ნამდვლვე ქალაქად
იმრთისა ცხოველსა სამკვდრებელად სულისა
და მიერ ყოვლით-კერძო ქუეყანისა, აღმოსავ-
ალისა და დასავალისა ადგილთა, ჩრდილოთ
და სამხრით მოავლე სიტყუაჲ კიდეთა. წი-
ნაჲცა შენ ზედა კეთილშესატყვსობით ითქუ-
მოდენ საკვრველისა **წავითის** საკვრველნი
წინა-ჴმობანი: ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჴმაჲ
მათი, და სიტყუანი ყოველთა მიმართ კიდეთა
სოფლისათა(მდრ. წს.18,5).

ღამეთუ მონაფე იქმენ ნამდვლვე **წვთსი-**
ბრძნისა ჴრისტეს გუამოვენებითისა ძალისა
იმრთისა **წამისა**(მდრ. I კორ.1,24), და ამისნი
კუალნი გამოიძიენ რაოდენ შესაძლებელ არს
და მიმსგავსებულ იმრთისა, რაოდენ კაცთადა
დასატყვენელ არს. ჴამეთუ არა წიაღ საველელ
არიან ღადირნი ბუნებისანი, და ყოველი სახე
სათნოებათაჲ ღრმასა მას ზედა საფუძველსა
სიმდაბლისასა აღაშენე, რომლისა მიერ მხ-
ოლოდ სათნო იყო იმერთმან ცხორებაჲ, და
ცხონდების კაცი. ჴამეთუ არარაჲ არს სხუაჲ
ამისსა უმტკიცესი საფუძველი. ჴოლო ვი-
თარმედ სარწმუნოებისაგან არს სიმდაბლე,
ყოვლით-კერძო ცხად არს. ჴამეთუ ვითარ ვინ
მიწნიოს უმჯობესსა, უკუეთუ არა პირველად
ირწმუნოს, ვითარმედ უმჯობეს და უმაღლეს
არს იგი.

წმას თანა აღსავსე სიტყვთა, ვითარცა
მსახური სიტყვსაჲ იქმენ, რომლითა საღმრ-
თოჲ სიტყუაჲ გუამოვანი იმრთისა **წამისა**
სულისა მიერ თანაარსად **წამისა** ჴქადაგე
განცხადებულად ერთობად უწყებაჲ სამეხით
თაყუანის-ცემულისაჲ და სამეხისა ერთად
თავდგმულებაჲ, საკვრველად რაჲმე შემოღე-
ბითა ერთობისა და განყოფისათა; არცა ერ-

* მრავალთაჲ, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი II, თბ., 1973 // თორნიკე ჴყონია, იოანე დამასკელის ენკომია იო-
ანე ოქროპირის მიმართ, გვ. 134-148.

თობისაგან შერევენული, არცა კუალად სამობისაგან განწვალებული, არამედ ერთსა შინა დაცვაჲ ერთისაჲ, ერთობასა შინა არსებისასა განყოფად გუამთად, დაღათუ განყოფასა შინა გუამთასა ერთობაჲ ბუნებისაჲ უცვალებელ არს.

ესე ყოველსა სოფელსა ასწავე ერთი იმრთეებაჲ სამგუამოვანი ერთითა მით გუამითა თავისა ძესისაგანითა ყოვლითურთ ზიარებული ჩუენდა, რომელ არს ძე და სიტყუაჲ იმრთისაჲ, უვნებელი ვნებულისა ბუნებისაჲა შეერთებული და შისისა ვითარებისა მიმღებელი ყოფად დამწყებელი, განვორციელებული და განზრქელებული და მარტივი ბუნებითა, მიღებითა ბუნებისაჲა შეზავებული და ორ ბუნებად ცნობილი ჭეშმარიტებით, ვითარცა ორთა ბუნებათა მომღებელი მის შორის შემდგომად შეერთებისა, რომელთაგან, რომელთა შინა და რომლითა იქადაგების სრულებით ქონებითა თითოეულისაჲა, საზღვართაებრ და სიტყუათა თითოეულისაჲა პირველი იგი დაუსაბამო და აუგებელ, ხოლო მეორე დაწყებულ და აგებულ. შრთი ზგი უვნებელ, უხილავ, გარეშეუნერელ, შეუხებელ, ხოლო მეორე ესე ვნებულ და სახილველ, შესახებელ და გარეშესაწერელ. მითოეული მათი მნებებელ და თვთმფლობელ და მოქმედ. ღოლო ერთ და იგივე არს ამისსა და მისსა სრულმყოფელ ერთი ჴრისტი, ძე და ოფალი. ესე ორღანებრ მსახურ იყო, ხოლო ზგი მეუფებრ მოქმედ. მითოეული თვსითა მოქმედებითა და თვთმფლობელითა ძრვითა მისვე და ერთისა გუამისაჲ არს, ორთავე თითოეულისა ბუნებათაჲ, ორკერძოვე მოქმედებდეს და სრულჰყოფდეს ცხორებისა ჩუენისა განახლებასა, რომლითა თანაღმობით თავი ძესი დააცალიერა.

ესე გესწავა რაჲ, ასწავე და ამათ ზედა შენებად კეთილთა საქმეთა ოქროს ფერად და ვეცხლ ბრწყინვალედ შუწნიერებად, რაჲთა არა გამომცდელსა რაჲ ცეცხლსა მივეახლნეთ, ფიჩხოვნებისათჳს განვილინეთ, არამედ უფროს და უფროს განვწმდეთ განლეულნი რაოდენ რაჲმე ბიწ იყოს და წმიდანი წმიდად გამომაჴურვებელისა და განწმედელისა იმრთისა თანა ვსაუკუნებდეთ.

შინ-მე მომცეს ენაჲ ღირსებით აღლესული ქებად, ვინ-მე დამდვას დღეთა მათებრ პირველთა, რაჟამს ბრწყინვიდა ცეცხლი საღმ-

რთოდ ენების სახედ დასახული თითოეულსა ზედა მოციქულთაგანსა ერთ სახილველად და მრავალსახედ განსუწმნებული, რაჲთა ერთობითი სჯული სარწმუნოებისაჲ მრავალსახითა ენებითა მიეთხრას ერთად შეკრებად განბნეულთა, დაჴსნასა ამის მრავალსახისა საცთურისასა, რომელსა ზედა ბოროტად ერთნება იქმნეს ძულ სადმე გოდლის მაშენებელნი და სასყიდლად უღმრთოებისა მიიღეს შერევნაჲ ენისაჲ და მის მიერ განწვალებაჲ ცნობისაჲ.

შინ-მე მომცეს იგივე ენაჲ სულისაჲ, რაჲთა სულითა შემოსილისა ამის კაცისანი, ზესთა ბუნებისანი მიუთხრნენ წარმატებაჲ. შოვედინ აქა ოკეანოს სიტყუათა ცნობისა უფსკრული. წრამედ არა ერჩის სიტყუათა მადლი სულისაჲ. ჴამეთუ რომელიცა სიტყუად მნებებელი თვნიერ სულისა იტყვს სულისათჳს, თვნიერ ნათლისა ხედვაჲ აღურჩევიეს და ბნელი აქუს ფერჳთ-მყვანებლად ხედვისა. შინაჲცა კუალად მისა მიმართვე აღვალ აწ საქებელისა და მის მიერ, ვითარცა საღმრთოჲსა ლამპრისა, აღვინთებ ბაზმაკსა მეცნიერებისასა, რაჲთა იგივე მეყოს მიზეზ შესხმისა და მომნიჭებელ ძალსა შესხმისა სიტყუათასა.

შინ-მე იყო ესრეთ ფრიადი სიტყუათა შინა და დიდი მოგონებათა, რომლისა თანაშეტყუებაჲ ესოდენ შეუტყუებელ არს, ვიდრელა უცნაურცა არს, თუ რომელსა შინა უფროჲს უსაკვრველეს იყო ესე. შინ ესრეთ სახე სათნოებისაჲ იყო და იხილვებოდა, ვიდრელა სიტყუაჲ სასწავლელად არღარა ეჴმარებოდა. შინ სიტყუათა წვმანი დაადინნა ესრეთ შედგომილნი საქმეთანი და მათ მიერ მიმღებელნი ძალისანი, ვიდრელა ამისთჳსა ითქუმის, რომელსა იწყო ყოფად და სწავლად(შდრ. საქმ. I, 1) ვითარ-იგი შესუს იმრთისა ჩემისათჳს ლუკა თქუა იმრთივ განბრძნობილმან, ვინაჲ ამას ყოფად და კუალად ყოფად დაუმკვდრდა.

შინ საქმე წარვლო და ხედვაჲ ამისებრ, რომელმან ჴორცთა გემონი დათრგუნნა, ვითარცა უჴორცომან და იმრთისა თანა განიხილნა საღმრთონი. შინ ესრეთ სარწმუნოებაჲ, ვითარცა სული, და საქმენი, ვითარცა ასონი გუამისანი შეანანევრნა კეთილად წესიერებით და დამორჩილებით, და საქმით სარწმუნოებაჲ განასულიერნა; რომელნი თვნიერ ერთიერთისა მარტოდ უჴმარ და უსარგებლო არს,

დალათუ სარწმუნოებასა ვინმე არა გარეგან სამართალისა მისცეს უპირატესობად.

ზინ ესრეთ განჯადა ნაყროვნება მვევლად მოყვანებითა დედოფლისადათა და შეუკრა მცოხნელობა იმრთის-მსახურებისა გულის-სიტყვითა, თვთმპყრობელ და არა მსახურ მისსა ქმნითა. ზა ესოდენითა მარხვითა ზედა მოექცა მას, ვიდრემდის დაავინწყდა რაჲ და ოდეს, სადა, ანუ რაჲზომ მიეცემოდა მას საჭმელი და სასუმელი. ჯამეთუ უკუეთუ ბუნებაჲ წუთ ჟამის არს და ჯორცნი მდინარე და დაცალიერებად, და ვითარ იგი აღმოფშვნიისა მოქენე არს, რამეთუ თვნიერ მშვნისა ცხორებაჲ უღონო არს, ეგრეთვე სხუათაცა საჭმართა ნაკლულევანებისა აღმოგებად, რამეთუ სამნი არიან დაცალიერებადნი: ჯმელი და ნოტიად და მშვნება, რომელთაგანი თითოეული ურთიერთას აღმოვსებისა მოქენედ ბუნებით ჯორცთა ამათთვს დამბადებელისაგან განსაზღვრებულ არს. ზრამედ მადლი სულისაჲ არა შეწყუდეულ არს სჯულთა ქუშშე ბუნებისათა, რამეთუ არა ხოლო პურიტა ცხონდების, არამედ ყოვლითა სიტყვითა გამომავალითა სირისაგან იმრთისა(მდრ. შთ.4,4).

ზინ-მე ესრეთ წმიდა იყო სულით და გონებით ჯორცთა თანა, ვიდრემდის წამებულ არს მისი შერევნათა მიმართ ქვებურობაჲ; არა ქვებური იყო. ჯამეთუ არა პირუტყუ, არცა ბუნებისა სენ იყო ესევეთარობაჲ მისი, არამედ სიტყვს მპყრობელობაჲ, რომელი რაინდობდა პირუტყუსა ზედა. ზა ყოველსავე სურვილსა იმრთისა მიმართ აღპყრობილ ჰყოფდა, რომლისათვს დაბადებულ იყო, მიექცეოდა უკუშ სიჩჩოსაცა გემოვნებათასა, ვითარცა ზედა დასაგზებელსა ცეცხლისასა, და აღირჩევდა სიფიცხესა სათნოებისასა მიმყვანებელთა განსუწმნებად საუკუნოდ.

ზსრეთ მცირედ-მცირედ თანა-შეაჩუცვდა თავსა თვსსა სიმცირითგან დღითი-დღე წარმატებითა და მარადის იქმნებოდა თავისა თვსისა უმძლევს, ვიდრემდის სრულიად დააძინა ვნებათა, რამეთუ მოღუანებითითა ჯელოვნებითა მოამდოვრა და მოაცხრო მძვნარებაჲ მრავალჟამეულითა ჩუჭულებითა ანაგებ-ყოფად და მცირედ-მცირედ ბუნებით ყოფად. ჯამეთუ შრომაჲ საღმრთოჲსა შემწეობისა მიმთხუჭული უვნებელობისა მიმმადლებელ არს.

ზინ ვეცხლის-მოყუარებაჲ საჭმართაჲ წი-

ნა-განგდებულ ყო, ვინაჲცა ესოდენ სუროდის მონაგებთა არაქონებისათვს, ვითარცა სხუათა ქონებისათვს. ჴეცხლის-მოყუარებასა ვიტყვ ვნებათა სიმტკიცესა, სასოებისა მოკლებასა, სარწმუნოებისა წინა-აღმდგომ მბრძოლსა, ვინაჲცა **სავლე** იმრთივ ჯმოვანი ქნარი სულისაჲ, სამოციქულოთა ენათა მრავალჯმოვანი პირი მეორედ კერპთმსახურებად(მდრ. ჴფეს.5,5) ამას ჟამიერად სახელ-სდებს. ჯამეთუ დაუტევის ვინმე საღმრთოჲსა წინა-განგებისა სასოებითი საჭეთ-მპყრობელობაჲ და საჭმართა შეკრებასა მიეყრდნის და ესენი იუნჯნის პირველ უმჯობესისა, ვითარცა უკუდავად ცხორებადმან, და ვითარცა ზღუად ვერლარა განძლებოდის, დალათუ ფრიადნი და დიდნი შესდიოდნი მას ოქროს მდინარენი. ზმათ მიერ არა შეიპყრა ან საქებელი ესე, არამედ განგდებასა ზედა ყოვლისასა იქადოდა. ჯამეთუ განსთხინა მამული კეთილსაქადული და კეთილსაჩინო. **ზნტიოქიასა** ვიტყვ აღმოსავალისა საჭეთ-მპყრობელსა, ნათესავნი და სისხლი წარჩინებულთაჲ, ოქროჲ, ვეცხლი, ქვანი მრავალსაწყიდლისანი, სამოსელნი, რაოდენნი იყვნეს ჩჩულ და სადიდებულო, ყოველნი სხუათა მიუტევნა, ამათ თანა მოქადულობაჲცა და ძლიერებაჲ სიტყუათაჲ.

ზა მიინია **შელეტისსა, ანტიოქელთა** ჴელესიისა წინა-მჯდომელისა, კაცისა სიტყვით და საქმით ყოვლით-კერძო მიმოგანთქმულისა და საღმრთოთა მადლთა მიერ ფრიად განმდიდრებულისა, რომელმან შეინყნარა იგი ათრვამეტ წლისობად მიწვეწული, და ტრფილ კეთილისა მის გულისა მისისა იქმნა, ვიდრელა წინამხედველითა თუალითა განიცადა ყოფადი იგი ჭაბუკისა მის ზედა და იმრთისმსახურებისა სჯულთა შინა განამტკიცა წესთა მიერ და ჩუჭულებათა მდიდრად პატიოსან ყო, და წინა დასახა შუენიერებაჲ ჭეშმარიტებისაჲ. ზა ესრეთ საბანელითა კუალად შობისადათა გამოხატა მის შორის ჴრისტე უშუწნიერესი იგი უფროჲს ძეთა კაცთაჲსა(მდრ. ჴს.44,3), რომელი ბრწყინავს სიკეთითა იმრთეებისადათა.

ზყო უკუშ წელიწადისა ოცდა ათისაჲ, და ესრეთ მიინია რაჲ სრულებასა თანად სულისა და ჯორცთა ჰასაკისასა, საღმრთოთა სიტყუათა თანად წიგნისმკითხველ და მთარგმნელად დადგინებულ იქმნა; ვინაჲ საღმრთოჲსა სურვილისა აღტყინებითა უდაბნოდ წარვიდა დაჭნობად მნებებელობითა ჯორცთა შუწ-

ბულებისა და მდუღარებისადათა, რაათა არა დამონებულ იქმნას უმჯობესი უდარესისაგან. ჯამეთუ ზოგად ორთავე ერთი-ერთისა ზედა გული უთქუამს და ხრწნილებად საყოფელისადა უეჭუელად სულსა მისცემს მძლეობასა. ღოლო ალვიდა რაჲ მახლობელსა მთასა, ძღუანებულ იქმნა მოხუცებულისა ვისმე მიმართ მეტყუჴ-
 5 ლებითა უკუჴ **ასურისა**, ხოლო მეცნიერებითა არა უსწავლელისა და თავსა მარხვისასა მიწ-
 ევნულისა, რომლისა ფიცხელ-ცხორებაჲ ოთხ
 10 წელ განისაკუთრა და ადვილად ზესთა ექმ-
 ნა ყოველსა ტკბილგემოვნებასა ვნებათასა,
 რამეთუ სიტყუაჲ აქუნდა შრომათა თანამზ-
 რახვალსი ბერისა თანა-შესწორებად. ღოლო
 უცნაურებასა შრომათასა წადიერებითა უდ-
 15 აბნოსა რასმე მსხემ იქმნა მღვმის მოქადუ-
 ლობითა საყოფელად, ვითარცა სათნოებისა
 სანყოზლად და აღსალესეველად, სადა-იგი
 რაოდენნი ღუანლნი თავსა-ისხნა, დაღათუ
 სიმრავლისაებრ საღმობათაჲსა მიიხუმიდა
 20 ნუგეშინის-ცემათაცა სულისათა.

ჯაოდენნი აღსავალნი გულსა დაისხნა, ვი-
 ნაჲ სულითა განათლდებოდა და ძალითი-ძა-
 ლად აღმაღლდებოდა და ორკერძო საქმით
 და ხედვით ყოველი **მეგვბტური** ცნობაჲ სუ-
 25 ლისაგან და ჴორცთა თვსთა ექსორია-ყო,
 და სხუად **შოსედ** სანუთოჲსა ამისდა მონი-
 ჳებულმან, დამტევებელმან **ღვპტისა** სოფ-
 ლისა ვიტყვ და სოფლისათამან, და სახითა
 რაჲთმე გარეგან სოფლისა ქმნულმან, იხილა
 30 იმერთი, ვითარცა მაყუალსა, სიფიცხესა შინა
 ცხორებისასა გამობრწყინვებულად, რამეთუ
 სათნოებასა **ღფალი** წინა უძღვს, და ვითარ-
 ცა ეკალთაგან ვარდი, ეგრეთვე შრომათაგან
 სათნოებაჲ ნერგ სულნელ საყნოსებელ იმრ-
 35 თისა გამოღებად ჩუჭულ არს.

უსრეთ განიჴსნა ქუჴმეთრევეთა მოგონე-
 ბათაგან და დაუტევენა რაჲ სახედ ჴამლთა
 ქუჴყანიერნი, ადგილ იმრთისა იქმნა გონ-
 ებითა თვსითა და იხილა იმერთი, რაოდენ
 ხილვად შესაძლებელ არს. შა კუალად **ღვპტ-**
ედვე წარიგზავნა და სიმრავლენი ფრიადნი
 და ურიცხუნი **ღვპტით** გამოიყვანნა მწარისა
 მისგან მძღავრისა და სოფლის მჴყრობელისა
 ფარაოჲსა და ზენაჲსა მიმართ აღთქუემის
 ქუეყანისა მიცვალნა, და მისცვალეზს ზღვთ
 მენამულით, საღმრთოჲთა ვიტყვ სისხლითა
 და წყლითა.

წმისსა შემდგომად მოქალაქობდა უდაბ-

ნოსა ვნებათაგან და **წმალეკი** იოტა აღჴყრობ-
 ითა ჴელთა **ჯუარის** სახედ განჴყრობილთაჲთა
ჯუარსა ზედა ჩუენთვს ჴელთა განმჴყრობ-
 ელისა მიმართ და შის მიერ მოიღებდა ძალსა
 5 მძლეობისასა.

ღრ წელ იყო ქუაბსა შინა მკჴდრობაჲ მისი,
 რომელსა შინა ზოგად სული და ჴორცნი მღვ-
 ძარებით დაიცვნა, ვითარცა უჴორცომან, და
 წურთასა საღმრთოთა სიტყუათასა შექცევი-
 10 თა განიოტა ყოველი უმეცრებაჲ და შეიკრიბა
 მის შორის ნათელი საღმრთოჲსა მეცნიერ-
 ებისაჲ. შალათუ სადმე უჴმნ ძილი მიღებად
 განსაფრთხოზელად და განსამტკიცებელად
 ბუნებისა, დგომით აღასრულის მსახურებაჲ
 15 ბუნებისაჲ. ჴინაჲცა ყოველსა მას ორ წელი-
 წადობასა ყოველად არა მიწვა არცა ღამე, არცა
 დღე, ესრეთ მოიკუდინა მუცლის-ქუჴშე მისი
 და თირკუმელთა ძალი დაიჴსნა და უპის ზედაჲ
 ჴურვებაჲ მუცლისაჲ დაშრტა და უძღურ იქმნა
 20 თვსისა საჴმარებისაგან.

წმისსა შემდგომად კუალად იქცა მამულად
 და ჴელესიისა მღდელთა დასისაგანად იქმნა,
 და ვითარცა ერთგულმან შვილმან აღმზრდელ-
 ისა დედისანი გარდაიჴაღნა საზრდონი ამისნი.
 25 ჴინაჲ საღმრთოჲსა განგებისა მიერ პორფირისა
 მიმართ ქალაქთაჲსა წარიგზავნა, და სძალ იყო
 ასული დიდისა მღდელთმთავრისაჲ. ჯამეთუ
 არა ღირს იყო ჴვმირსა ქუჴშე დამალვად ესევი-
 თარისა მნათობისა, რომელსა ზედა უჴამოჲ და
 30 სამარადისოჲ ნათელი განისუჴნებდა, არამედ
 საბაზმაკესა ზედა მაღალსა და საჩინოსა დადგ-
 მაჲ, რაჲთა ვითარცა საჩინოჲსა და საშუეალისა
 საებგუროჲსაგან, ვითარცა საყვრი ოქროჴედ-
 ილი, ჴმობდეს ყოველთა კიდეთა სოფლისათა.
 35 ჴინ ესრეთ ჴმართებდა და განანესა ჴელე-
 სიაჲ იმრთისაჲ და მდაბალი აჩუჴნა ცნობაჲ
 სიმაღლესა შინა პატივთა უპირატესობისასა.
 ჴინ ესრეთ აღჴრ-უჴყრა რისხვასა და გულის-
 წყრომასა, ვიდრე მოგებადმდე სჴუულიერისა
 40 სიმჴდლისა მოძაგებითა ყოვლისავე სათნოე-
 ბისა წინა-აღმდგომისაჲთა და უსამართლოთა-
 გან მართლ სჴითა სამართალისაჲთა.

ღინ მოიგო ესოდენი მონყალეზაჲ, რომლისა
 მიერ აღმოეცენების სიყუარული, რომლისა
 45 სათნოებისა ვიდრე მოაქამდე სულიერ ძეგლ
 არიან ანცა შემომღებელნი სახეთანი. ჯამეთუ
 ყოველი სიტყუაჲ მონყალეზისა მიზეზ იყო,
 ვიდრემდის ანაგებად მიაწევს თანა-ღმობისა
 და მიმცემელობისა წარმკითხველთა სიტყუ-

ათა მისთასა. ჯამეთუ არწმუნებს ვასხებად იმრთისა თვსთა მიცემად განხრწნადთა და მდინარეთა ნაცვლის მოსაწყევლად მდგომარეთა და უხრწნელთა, და დაუნჯებად ზეცათა შინა თანალობისა ნაყოფსა არა წარსაგებელსა, არცა განსალევენელსა, და ცოდვათაგან განწმედად მოწყალებითა და უსამართლოებათაგან წყალობითა გლახაკათადათა, მშიერთა დანეცუად პურსა სახარებისაებრ, და წყურიელთადა მიპყრობად სასუმელისა, შიშულთასა დაბურვად და შემოსად სიშიშულესა, უსახლოთა და უსართულოთა შეყვანებად სახიდ თვსსა, ქმნად სნეულთა მოხილვისა და საპყრობილედ მიმართ განძრვად ფერვისა და მოსთულებად წყალობითა წყალობისა.

ჴოლო ძვრის-წასენებაჲ ვინ ესრეთ აოტა და ოტებად სამწყსოთაგან გულსმოდგინე იქმნა, ვითარცა მქონებელთა მისთაგან დამწველი იმრთისა წყალობათაჲ. ჯამეთუ ვითარ-იგი უყავ, გეყავნ შენ, ეტყვს, და რომლითა საწყაულითა მიუწყე, მოგეწყენ(მდრ. შთ.7,2). ნა მიუტეო თუ, მოგეტევენ(მდრ. ლუკ.6,37); რომლისა წინაუკმოჲ წინაუკმოსავე განჩინებასა მისცემს არამიტევებასა არმიმტევებელსა.

წინ ესრეთ დასაჯა შური და ჯდომად და ასწავა განრჩევაჲ შურისა და ბაძვისაჲ, რათა ებაძვებოდინ კეთილსა, რამეთუ ყოველი კეთილი საშურველ და საბაძველ არს. სანატრელ არს, რომელი ჰბაძვიდეს მსგავსებისათვს. ჴოლო საძაგელ ბოროტად მოშურნე ვნებითა ყოველთა ვნებათა უუსამართლოესითა და უსამართლესითა მოწყალებისა წინააღმდეგომ ბრძოლისა. ჯამეთუ წყალობა არს უცხოჲსა ძვრთა ზედა ტკივნეულობაჲ. ჴოლო ესე კეთილთა ეშურების და არა სხუათა, არამედ თავსა თვსსა ავნებს თვთ მას მოშურნესა და აღმარდინებელ თვსთა გულის-ლმობათა ჰყოფს სხუათა კეთილისა აღორძინებასა, და პირველად მომგებელსა მიაგებს ნაცვალსა მოგებისასა.

წმას თანა ასწავებნ არაგანკითხვად თანამონისა, რათა არა დაისაჯენ. ჯამეთუ მართლითა სასწორითა მხოლოდ მართლმსაჯულმან ოფალმან იცის მინონაჲ ჩუენი. ნა რათა არა მიიტაცებდენ პატივსა შეუფისა, რამეთუ ერთ არს მსაჯული, ჴომელი არა დაისაჯების, ვითარცა შხოლოჲ თავისუფალი ცოდვისაგან, შეუფე უმეუფოჲ. შიუტევეთ, სახარებისაებრ ჯმობნ, და მოგეტევენ(მდრ.

ლუკ.6,37).

წინ ესრეთ დევნა მწუხარებაჲ სიკუდიდ მიმყვანებელი და ასწავა მწუხარებაჲ მხიარულების მომატყუშბელი. ჴომელი უკუეთუ, ვითარცა გლოვაჲ იყოს იმრთისა მიერი, საცხორებელ არს, რაჟამს ცოდვისაგან განაყენებდეს; ხოლო უკუეთუ მოკლებასა ზედა გემოვნებათასა იყოს, რისხვით განმხრწნელ არს მსწრაფლ და გამოუცდელ ნამდვლვე. ჯამეთუ არა არს შემთხუშვაჲ მწუხარებისაჲ, არა არს თვნიერ დაკლებასა ზედა გულის-სათქუმელისასა. ჯამეთუ ვითარიცა რაჲმ იყოს სასურველი, ეგვევითარივე არს მწუხარებაჲ ვერმიმთხუშვისაჲ: კეთილისაჲ უკუშ კეთილ, ხოლო სხუშბრ ქონებულისაჲ მქონებელ სხუშბრობისა და სასურველთაგანი კეთილ ერთი ოდენ არს მხოლოდ კეთილისა მიმართ ოდენ მხედველ. ჴოლო წინა-აღმდეგომისანი სურვილნიცა წინა-აღმდეგომ არიან და მოწყინებისანი იგი უძალოსა მას ვერ ძალიან ჰყოფენ.

წასენებაჲ სიკუდილისაჲმან ასწავის სულსა ძარღუთმჭრელთა მათ ძალთა დაწსნილებისათა წარდევნად და ნაცვალად მისსა შეყვანებად ნადიერებასა, ვითარ წმიდაჲ ესე შიშითა და სურვილითა იმრთისაჲთა განამწნობდა ერსა განვრცობად ლოცვათა და ფსალმუნებათა და ყოველსავე ძილსა და უდებებასა მსწრაფლ განყრად სულთაგან და ყოველითა ძალითა დაცვად სულთა თვსთა, რათა არა ვითარცა სარკუმელთა რათმე საგრძნობელთაგან აღვიდეს მათ ზედა სიკუდილი. წმას თანა ასწავა მთარგმანებელ და მოძღუარ მათდა ყოფითა გამოძიებაჲ წმიდათა წერილთაჲ, და სანინანარმეტყუელოთა სულითა გამოიძინა დაფარულნი სიღრმენი სულისანი და განაპო საბურველი წერილთაჲ და განაცხადა შუწნიერებაჲ მათ შორის მყოფი.

ნა ესე იყო აღუზუავებელითა და განულალებელითა ცნობითა. ჯამეთუ უწყოდა, ჰმ ნამდვლვე უწყოდა, დათრგუნვაჲ ცუდისა დიდებისაჲ, ცუდად წარმგებელისა შრომათაჲსაცა და სათნოებათა ნაყოფთ-შემაშთობელისაჲ, რომელმან ჭურებრ განწურეტაჲ უწყის სულიერისა სათნოებათა საუნჯისაჲ და შთადინებისასა წინასწრობაჲ განდინებისაჲ, და არარაჲთ უდარეს ცალიერისა ჭურჭლისასა გამომაჩინებელ მისსა უგმარმყოფელობითა ოფლთა მისთაჲთა და მომატყუშბელობითა შრომათა, ვერმიმღებელთა ნაყოფიერებისათა. ჯამეთუ

იმერთისა მხოლოდ შუჭნის ყოველი დიდებაა და ამაღლებაა, ხოლო კაცსა – სიმდაბლე, გზა რჩეულ ყოფად ამაღლებისა და კიბე **სსრაჲლ-ისა** იმრთისა მიმართ აღმყვანებელ კაცისა და იმრთისა დამამკვდრებელ გულსა შინა.

ტმისთვს წმიდაა ესე ყოველთავე დაბადებულთა თანა დაამდაბლებდა თავსა თვსსა დამბადებელისათვს, და მუნ მხოლოდ ამაღლდებიან, სადა იმერთი იგინებოდის და სჯული საღმრთო შეურაცხ და გარდაქცეულ იქმნებოდის.

სსრეთ ევლტოდა ყოველსა სილაღესა და მზუობრობასა წარმადლობითურთ, თუალტკბილობად მისცის მზრახვალთა მისდა სიტყუა სიმშვდესა თანა საღმრთოთა მარილითა შენელებულსა. ჴცევაა მისი სახარულევან, მკვრცხლ ღიმილი პირისა, არა დათხეულ დამწსნელობითა სიცილისადათა. ჴამეთუ უწყოდა, ვითარ სათნოებათადა სიბოროტენი თანაშექუსულ არიან და არიან ვითამე ბჭეთმახლობელ. ტმას ირწმუნებდა კეთილისა შბრძანებელისაგან.

სკრძალებოდა უკუშ თავსა თვსსა ტაბლით მჯდომ რჩეულ-ყოფასა გარემიქცევითა ყოვლისა ბინიანისა სახისადათა და მხოლოდ შეწყნარებისა სამეუფოვსა ოდენ ხატისადათა. ჴამეთუ ყოველი სახე სიბოროტისა მტუჭრებრ აღგავა გულისა თვსისაგან ქარითა სულისა საღმრთოვსადათა. ჴოლო სიბოროტეთა წინააღმდეგომეებითა სათნოებითა ირწყვოდა და პოხდა, ვითარცა ზეთისხილი მსხმოა სახლსა იმრთისა სკლესიისასა მარადის აღყუავებულად ცნობილ და მომრთუმელობითა იმრთისა ნაყოფად შუჭნიერად სიმრავლესა მის მიერ ცხოვნებულთასა; ანუ ვითარცა ფინიკი რაამე დიდ-დიდებისა ტევნებისა მოცეული კუფხალებითა.

ტმას თანა ამხილებდაცა სიბრძნითა სახლისა სახლსა თანა-შემრთველთა, და **ნაბოთეს** ვენაჴისა წარტაცებად ჴელ-მყოფელთა, ვითარმცა არღარა იყო **სლია** მამხილებელად. ტრამედ კუალადცა აღადგინა **სლია** სულმან ჩმიდამან, რომელი-იგი სულთა შინა მწნეთასა ქცევითა ნათესავითი ნათესავად წინანარმეტყუელთა აღადგინებს მოშურნეთა საქმისა კეთილისათა, განმგდებელთა ყოვლისათა, რაოდენი არს ბილწ და უჯერო, და დამამკვდრებელობითა და ნაცვლად შემომყვანებელობითა ყოვლისა სჯულიერისა და სამართლისადათა.

სსრეთ უკუშ ესრეთ საღმრთოა კაცი მსაჯულ უსამართლოვსა იქმნა, არა უსამართლოდ სჯითა, წარვედ და ვითარმცა; არამედ უსამართლოების დასჯითა და განგდებულად გამორჩინებითა და საღმრთოთა ეზოთაგან განყენებითა უსამართლოვს მოქმედთადასა. ჴამეთუ ქურივი აწყენდა მას ზედას-ზედა წყინებითა, განლელული გულითა უმსჯავროებისათვს, და მისავლტოლველ რაბამ რაამე მაგარ და დაურლუშველ მტკიცე პოვნითა კაცისა იმრთისადათა, არა დარედ განმზრახი. ჴამეთუ ვინმცა სხუა პოვა აღმასუბუქებელად ვნებისა. შთავარი ვინმეა; არამედ ჴმთავრობდა მთავართა ამისი მაჭირვებელი, ანუ მეფემცა; არამედ ასოვსა თანალმობითა დადედლებულ იყო ცნობითა. ჴამეთუ ჴორცი იყო ჴორცთა მისთაგანი და ძუალ მისსა იძულების მოქმედი. ტა რომელსა-იგი უკმა პირის დაყოფად უსამართლოთა, უსამართლოებისა მიდევნებულ იყო.

«ჴასა იქმ, ჴ უსჯულოო დედაკაცო, გვრგვნი ზედა გადგს და სამეუფოთა პორფირითა განშუშნებულ ხარ, ვითარცა სჯულთა ზედა საღმრთოთა მცველად დადგინებული და სჯულთა დასთრგუნავა?»

სჴა, გამოუთქუმელსა სიბრძნესა მეტყულისასა! «ნუ მისცემთ სინმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა» (მთ.7,6). ჴამეთუ შენ ხარ ნამდვლვე ყოვლად წმიდისა საღმრთოვსა სჯულისა და მთრგუნველი მარგალიტისა მრავალსასყიდლისა, რომელმან მიერ მიიქეც და გახეთქე გლახაკი ქურივი წარტაცებითა მისისა სამდღევრო საცხორებელისადათა. ჴასა იქმ, ჴ უძღეობ და უმადლოო დედაკაცო! რომელსა ქუეყანა და ზღუაა ძღუნის მომრთუმელად გაქუს, ქურივისა უნდოვსა და უღონოვსა მონაგებსა ზედა მიუხუალა? ჴჴ, თუმცა ამის ცხორებისაგან განწდა შეგემთხუწოდა დაცვისათვს და საქმით დამტკიცებისა სიტყუათა სჯულისათა, ხოლო შენ საქმით განაგდებ მას და არა გეკდიმების მამისაგან ობოლთადასა და მსაჯულისა ქურივთადასა (მდრ. ჴს.67,6).

ტრამედ ესმა საღმრთოთა მიერ სიტყუათა ნამდვლვე მარადის აღზრდილსა მას: უსაჯეთ ობოლსა და განამართლეთ ქურივი (მდრ. ჴს.81,3). ტა **სლია** აქუს მას ფერწმყვანებელად მოშურნეობისა, ცეცხლმბერველი იგი **სოვანეს** ემსგავსების კადნიერებასა. ტრა ჯერ-არს შენდა, გეტყვს, ქონებად ვენაჴი დისა შენისა.

სგონება ბუნებით მისსა ზესთაობასა, დაღათუ პატივითა ზესთა ექმენ სახითა მძლავრებითითა. ჯამეთუ დასაბამ სჯულის დაწესებისა მეფე არს, ხოლო უსჯულოებად შენივთებული არა უსამართლოდ სახელ-იდებოდის მძლავრებად.

წრა წარგეკითხაა **სეზაბელის** საქმიანობად. ჯაფა შეხუალ სახლსა ამას იმრთისასა, განვედ შორს საღმრთოთა სამეუფოთაგან. საბანელ არს საღმრთოთა ტაძარი, განმბანელ შეცოდებათა. შეზუტრემან სერობად რაჲ შეინყნარა შესუ, კეთილად განაბნია, რაჲ-იგი ბოროტად შეეკრიბა. შა შენცა, ასულო, რამეთუ ჯერეთ ასოდვე გხადი, დაღათუ ძვრად ჰმოქმედებ, არამედ ასულვე ხარ სასოებითა ცხორებისაჲთა. ჟოლო ცხორებაჲ თვნიერ სინანულისა არა არს. **აკუნეც** კეთილად, რაჲ-იგი ბოროტად იტაცე.

წმას რაჲ ეტყოდა, ვერ არწმუნა, რამეთუ დაეყენეს სასმენელნი, ვითარცა ასპიტსა არასმენად იმრთის-მოყუარისა და ბრძნისა წამლის-მცემელისა. ჴინაჲთგან უკუჲ ხედვიდა ვნებისა ყოვლად უკურნებელობასა, განჯადა სამღდელოთა ეზოთაგან არამქონებელი იგი სასძლოჲსა სამოსლისაჲ.

შერმე რაჲ კუალად **სეზაბელ** ზედა-აღუდგების წინანარმეტყუელსა და არასადა ივლტის მისგან ქადაგი ჭეშმარიტებისაჲ, არცა საპყრობილედ მიეცემის, არამედ ვითარცა ჳმაჲ ღალადებისაჲ ექსორიობად დაისაჯვების. **სჳა** უჯეროსა ცნობასა კუალად გუჲლის გულის-თქუმათ მოქმედისასა! ეკლესიისაგან განდევნად იკადრებს კაცსა იმრთისასა, და არა ჳუჲბულ იქმნა გულის-თქუმისაგან, კნინლა წუთ-ერთ ჰრულითა იმრთისა სულგრძელებისა წამთაჲთა, და ექსორია ყო სამეუფოთ ქალაქით წმიდაჲ იგი, უფროჲსლა წინა-განგებითა იმრთისა, მოყუარეთა და მსახურთა თვსთა წულებრივისა ცნობისა განმაცხადებელისაჲთა.

ჯამეთუ მას, ვითარცა თვსნი აქუნდეს უცხონი და ყოველივე თვსად, უფროჲსლა იმრთისად, ვითარ-იგი არსცა იმრთისაჲ, რომლისათვს და რომლისა თანა ესე მიმოვლიდა; **წბრაჳამის** თანა უცხოდ სოფლად მიწოდებული, **შოსეს** თანა სამეუფოთაგან ლტოლვილი, **სლიაჲს** თანა ქუაბად **ჴორებისა** მილტოლვილი, **სესუჲს** თანა ივლტის **სგვჳტედ**, ვიდრემდის ღუანლსა შინა სიმჳნე იცნო-

ბოს და ღუანლის-შემდგომნი მოისთულნეს, რაჲთა სახით რაჲთმე **სოზს** მიემსგავსოს, და მანვე იმერთმან ამისსაცა მიმართ თქუას; ანუ ჳგონება სხუად რაჲმე გამოცხადებასა შენსა, არამედ რაჲთა გამოსჩნდე მართლად, რაჲთა ჳქადაგო სახარებაჲ.

ჟოლო უკუეთუ სხუანიცა ვიეთნიმე უსჯულოჲსა ამის ექსორიობისა თანაშემწე იქმნეს, ამას ღუმილით პატივ-ვსცემთ კრძალვითა მათაჲთა, რაჲთა არა **ჴამის** პატიჴი დავიმკვდროთ მამათ-მბასრობელობითა. ჯამეთუ მრავალსახეცა არს ამათ პირთათვს თხრობაჲ: რამეთუ რომელნიმე ეპისკოპოსთა ზედა დასდებენ უჯეროებასა, ხოლო რომელნიმე ამათ ყოვლად უბრალო იქმან და დედოფლისა ზედა ოდენ მიიღებენ მაქადებელისა ანლა დაჳსნილთა საკერპოთა ტაძართა განახლებასა, უკუეთუ არა თანა-ენამნენ მას საღმრთოჲსა ამის კაცისა განდევნასა ზედა და სძლევდინ ჳამბავკეთილობაჲ; რამეთუ არა კეთილ არს მამათაჲ ერთიერთას თანა-შეტყუჲბაჲ, რაჲთა არა თავით თვსით მსაჯულ მათდა დადგინებულ ვიქმნენთ.

სინა თუ ესრეთ, გინა თუ ეგრეთ, ანუ ამის, ანუ მათგან მოეკუჲთა ეკლესიასა წინამჯდომელი, ვითარცა თავი გუამისაგან. შა დაქურივდა სამწყსოჲ კეთილისა მწყემსისაგან, რომელი მარადის ჴრისტეს მსგავსად სულსა თვსსა დასდებდა ცხოვართათვს. შა სუროდა ეკლესიასა ქადაგისათვს, ცხოვართა მაძოვნებელისა დასტვნვისათვს, ჴრისტეს თანა-მბრძოლთა წესთმთავრისათვს, საყვრისათვს საცნაურთა მტერთადა წინაგანწყობილთა, ზედამდგომელისათვს ქურივთა, მამისათვს ობოლთა, მტვრთველისათვს სნეულთა, უცხოთ შემწყნარებლისათვს. შა ეძიებდეს პორფირი ქალაქთაჲ ოქროსა უმანკოსა თავით თვსით შემამკობელსა მისსა და შემაზავებელსა მეფობისასა მღდელობასა თანა და სულისა მხედველობისა მიმმადლებელსა სკიპტრისა და პორფირისასა, იმრთისმოყურენი სასმენელნი **აკერპირსა** ჴრისტეს **სირსა**. შა არა თუმცა კადნიერ იყოს სიტყუად მის თანა განჯდილსა ჴრისტესა, რომელი მას თანამკვდრად აქუნდა. ჳ ვითარ უცრემლოდ წარმოგიტხრა მოუთმენელი განსაცდელი, რამეთუ არცაღა ქვისა გულსა ძალ-უც არაცრემლოვად ამას ზედა. ჴინაჲთგან კლდეცა **შოსეს** კუჲტრთხით ცემული წყალთა მოადინებდა, და გული მა-

გროვანი იწყლას რაჲ სიმძიმითა ჰამბვისაჲთა, მდინარებრ დასთხევს ცრემლთა ცუარებსა.

წრამედ მყის სამეუფონი აღშფოთნებიან, და კუალად ფარაო იმრთის მხილველსა ჳმობს ღონედ საგუშმელისა, რომელი ესე იქმნაცა. 5
 ჯამეთუ მყის მოქცევასავე თანა სამეუფოთა ბრძანებითა **სოვანესსა** დასცხრა შფოთებაჲ.

სრეთ იცის იმერთმან პატივი ჭეშმარიტებით თვსთაჲ. ცხოველ ვარ შე, იტყვს აფალი, მადიდებელნი ხემნი ვადიდნენ(ი მეფ. II, 39). 10
 წინაცა კუალად მხიარულებდა სამწყსოჲ ჭრისტესი, რამეთუ ყოველთა უკუნ-ეზლო ყოვლად ყოველთა ქმნილი, იხარებდეს ყოველნი ჭრისტეს მორჩილნი, პოხდეს და აღორძნდებოდეს კეთილ ქუეყანასა გულისასა შეწყნარებითა **სოვანეს** სიტყვსაჲთა, ვითარცა სულისა მიერისა თესლისაჲთა.

ჴოლო ეშმაკი იწყლვოდა, და კუალადცა ჩუჭულებისაებრ მართლისა ამის ზედა-აღმდგომ იქნებოდა მწნისა მის **სკლესიისა წინა-საკუჭთებელისა** დაჴსნად მეცადინეობითა და წარტყუწვად ჴელ-ყოფითა სიმდიდრისა მისისა წარუტყუწველსა იავარსა იავარ-ქმნისაჲთა. შიილო უკუჲ ჴელმწიფებაჲ ჴორცთა ზედა, ვითარცა პირველ **სობის** ზედა, არა თავს-მდებელმან მან პირველთა ამისთა შერისხვათამან. 25
 წა კუალად მართალი იგი აღელო, და სიძე სასძლოთ განიჴადა, და **სკლესიასა** სასძლო სამკაული მოეძარცუა, და თავი არღარა ქონებითა აღეპარსა. ჯამეთუ ცეცხლი, ვითარცა 30
 იმრთივ მოვლინებული, საყდრით აღატყდა და **სკლესიაჲ** თანად საგანმზრახოთურთ მოძოა. წა კუალადცა გოდებანი და ცრემლოვანი თანა-განმავალ, ანუ ყოვლად წარმავალ ყოფად აღმასურვებელნი ერისანი, და იყო 35
 მათდა სიკუდილი უსანადელეს **სოვანესაგან**

დაკლებისასა. წრამედ ეჰა მიშუჴბაღლა იმრთისაჲ ძვრთა მოსლვისათჴს მსჯავრითა მით, რომელი მან მხოლომან უწყის.

სრეთ უკუჲ კუალად განიჴადა ქალაქით და ადგილითი-ადგიდ მიმოსრბითა მისდევდა ქალაქსა, რომლისა ცხორებად სურვიელ იყო და მისთჴს სიკუდილი შესაძინელად შეერაცხა. 5
 იუანლი კეთილი მოიღუანა, სარწმუნოებაჲ დაიმარხა და სრბაჲ აღასრულა(მდრ. **ფილპ. I, 21**) და მოიხუნა ღუანლთა ღუანლთ-სანაცვლონი გვრგვნი სიმართლისანი.

წრამედ მომკუდარმანცა არავე დაუტევა სძალი თჴსი სიძემან მან თანად სძლის მოყუარემან და შვილთ-მოყუარემან. 15
 შვილნი მისნი დაკლებულ ყოფად მადლისა მისისაგან(მდრ. II ტიმ. 4, 7).

წრამედ საღმრთოთა წინა-განგებითა და ბჴობითა ზოგად შემსგავსებულად სამეუფოდვე აღმოიყვანა, ხილულად უკუჲ ჴორციითა და უხილავად სულითა, და ჰგიეს ქადაგად საღმრთოთა სიტყუათა, ვიდრემდის 20
 ჭრისტე კუალად მოსლვა-ჴყოფდეს, რომლისა თანა იდიდოს მისითავე მოხარული შუჴბითა და შუჴწნიერებითა.

სე ჩემნი, ჴ მამათა მამაო, შენდა მომართ ბრგუნვილობანი. წრამედ მოგუხედევდ ჩუენ თანა-მოსახელეთა და ნაცვლის-მგებლობდ 25
 წამბადებელისა მიმართ საკუთრებასა, რომელი-იგი არს ტკბილი, მხიარულებაჲ საუკუნოჲ ჭრისტე შესუჴს მიერ აფლისა ჩუენისა, რომლისა დიდებაჲ და სიმტკიცე თანა შამით და ყოვლად ჴმიდით სულითურთ, ან და მარადის და დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ. 30

